ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისი

№ 241
1877

ივერია

№ 241
1903

ნოემბერი 11, სამშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ნოემბერი 11, სამშაბათი 1903 წ.

რედაქციისაგან

უმორჩილესად ვსთხოვთ იმ ხელის მომწერთ, რომელთაც გაზეთის ფული სრულად არ შემოუტანიათ, დაიჩქარონ ფულის შემოტანა.

პირველ ნოემბრიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 2 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

რონინაშვილისეული ფოტოგრაფია.

აქ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“

ფოტოგრაფია

რონინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით აიღო

და სრულიად ახლად მოაწყო იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგ საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, მეცამეტე სურათი, მიეცემა **მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოვოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სანახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლე ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელიძე.**

პარასკევს, 5 დეკემბერს, 1903 წ. „ტფ. კრუჟოკის“ დარბაზში გაიმართება

საცეკვაო საღამო

საკონცერტო და სალიტერატურო განყოფილებით; მონაწილეობას მიიღებენ არტისტები და მუსიკის მოყვარულები. შემოსავალი გადაიდება **ხელმწიფე იმპერატორის** მფარველობის ქვეშ მყოფის **ზემო-ავჭალის სამიწად-მოქმედო და სახელოსნო კოლონიის** საშუალებათა გასაძლიერებლად.

დარბაზის **დეკორაციები**—ა. ო. ნოვაკისა. **კიოსკები**—ნ. ო. ნოვაკისა და კოლონიის მოწაფეთა. **გამოფენა** მოწაფეთა ნაწარმოებისა.

ანტრაქტებში დაუკრავს კოლონიის მოწაფეთა ორკესტრი. დაწვრილებით იხ. აფიშებში.

შესვლის ფასი (საქველმოქ. გადასახადით) 2 მ. 10 კ.; პრემიებს მადლობით მიიღებენ. საკონცერტო განყოფილება დაიწყება $8^1/_2$ ს., ცეკვა—$10^1/_2$ საათზე. სამხედრო მუსიკა. გულ-ამოჭრილი კაბა და ფრაკი სავალდებულო არ არის.

საღამოს დიასახლისი **უგ. კნ. თ. დ. გრუზინსკაია.** გამგე **ა. ს. ფრენკელი.**

ბილეთები იყიდება: კოლონიის საზოგადოების წევრებთან: ა. ს. ფრენკელთან (გრიბოედ. ქ. 33), ა. პ. მირონოვიჩთან და მ. დ. მელიქოვთან (სასამართლო პალატა), მ. გ. მუატთან (საოლქო სასამართლო) მომრიგებელ მოსამართლეებთა და ნოტარიუსებთან, ლოტის საკონდიტეროში და „ტფილისის კრუჟოკში“. (უ. 4—2)

ჟირარდის მანუფაქტურის საწყობი

სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა

მომავალ სეზონისათვის მიღებულია და ყოველ-დღე მოდის დიდ-ძალი რუსეთისა და საზღვარ გარეთის ნაწარმოები მაღალ-ღირსებისა და მებელების მატერიები, ფარდები, ხალიჩები, საფიანდაზო, ბაზრობა, ზონრები და სხვა.

ხელოვნური ტყავი „Pantasote“ სხვა-და სხვა ფერისა.

ლინოლეუმი იატაკზე დასაგები, პარკეტის მაგივრა. ლინოლეუმი—ხალიჩა და ფიანდაზი, კლეონკა

დონნერი და ლეიტცი.

საპტიაქო ხაქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ).

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას, ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების საპტიაქო და ქიმიური საქონელი და წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესაბამისად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჭურის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქი და ლაბორატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და სხვა წყალი და მარილი, მრავალგვარი და მრავალ-ფერიანი საპარფიუმერო სამკაული თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვა.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ.

წარმოდგენა № 18. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 13 ნოემბერს 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

I

გულის-თქმა

დრამ. 4 მოქ. რაკშანინისა, თარგ. ნიკიტინისა.

II

არც აქეთ-არც იქით

ვოდ. 1 მოქ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი, ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: „ქმართა სკოლა“, მოლიერისა.

რეჟისორი **აკაკი.**

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

სამშაბათს, 11 ნოემბერს 1903 წ.

მის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერის და ჟირარდონის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

I.

რიგოლეტო

ოპერა 4 მოქ., მუსიკა ვერდისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: კარტავინა, კარრი, ლიდინა, სკორუპსკაია; ბ-ნნი ფიგნერი, ჟირარდონი, შმაკოვი, კლიუზნერი, ფედოროვი, გრინევი, გავრილოვი.

კაპელმეისტერი ბ-ნი პოზენი

II

კავალერიის შესვენება

საგანგებო ბალეტი, მუსიკა არმსჰეიმარისა.

კაპელმეისტერი ლევიცი.

ხორმეისტერი ენგელ-კრონი.

უფროსი რეჟისორი ბოგოლიუბოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ახალი წიგნები რუსულს ენაზე

Къ вопросу о мингрельской начальной школѣ (მეგრულის პირველ-დაწყებითის სკოლების შესახებ), ვარიანელისა, დაბეჭდილი პეტერბურგში. ფასი ერთი აბაზი.

Какъ улучшить Кавказскую народную школу (როგორ უნდა აღსდგეს კავკასიონის სახალხო სკოლა), იაკობ გოგებაშვილისა, ფასი ექვსი შაური.

ორივე წიგნის საწყობი არის წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, საიდგანაც უნდა დაიბარონ მეიდველებმა. (6—4)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

ვ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. $8^1/_2$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памяти. Воронцова.

(წლ.)

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზოზის ქუჩა, № 46.

კერძო სამკურნალო

ექიმის ღ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მუღინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

ლ. მ. მოჩინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ბრ. ვ. სოკოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

თბილისის სამარხი კასის

გამგეობა

აუწყებს თავის წევრთ გარდაცვალებასა ამავე კასსის წევრის ნატალია სვიმონის ასულის ედილაშვილისას და სთხოვს **შემოიტანონ** ხვედრი **გარდასახდი თითო მანეთი და ხუთი შაური** გამგეობის წევრ იოსებ მერკვილაძესთან (ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“.

ვისაც სურს ჩაეწეროს წევრად, აქვე მიჰმართოს. (4—4)

ტფილისი

ბიულეტენი კავკასიის მთავარ-მართებლის თავ. გ. ს. გოლიცინის ჯანმრთელობისა: „მისი ბრწყინვალება, 5 ნოემბერს, საღამოთი, ბაღში ხანგრძლივ სეირნობის შემდეგ, უქეიფოთ შეიქნა და ღამე მოუსვენრად გაატარა. 6 ნოემბერს ყელი ასტკივდა და სიცხემ უმატა; კეფაზე ჭრილობა დაუსივდა. 7 ნოემბერს დილით ჭრილობის ირგვლივ თავის კანის ანთება აღმოჩნდა, სიცხე 40,3°-მდე ავიდა და თვითგრძნობიერება ცუდი ჰქონდა. 8 ნოემბერს დილით აღმოჩნდა, რომ თავის კანისა და სახის ანთება გაუძნელდა. დილით სიცხე 40,1° ჰქონდა, დღისით—40,4°, საღამოთი ოფლი მოუვიდა და სიცხემ უკლო, 39,7° ჰქონდა. მაჯა წუთში 100-ჯერ უცემს, ჭრილობა თანდათან წინანდელ ნორმალურ სახეს იღებს“. ხელს აწერენ ექიმები: მალინინი, ჩუდნოვსკი, რუდენკო და გადომსკი.

ბიულეტენი 9 ნოემბრისა: „მის ბრწყინვალების ავადმყოფობის მდგომარეობა დღის განმავლობაში შესამჩნევად არ შეცვლილა. სიცხე დილით ჰქონდა 39,5, საღამოთი 39,6; მაჯა—90. თავის კანისა და სახის ანთება სუსტად ვრცელდება“. ხელს აწერენ ექიმები: მალინინი, ჩუდნოვსკი, რუდენკო და გადომსკი.

თუმცა გაზეთებმა გაავრცელეს ხმა რომ საქართველოს ეგზარხოსი ჩამოვა პეტერბურგიდამ ტფილისში ამ ნოემბრის ბოლო რიცხვებშიო, მაგრამ, როგორც ნამდვილად შევიტყვეთ, ჯერ არავითარი ცნობა არ არის მოსული მისის ჩამობრძანების შესახებ.

„კავკაზ“-ის ოფიციალურ განყოფილებაში 9 ნოემბერს დაბეჭდილია: „რადგან სენატორი, გენერალ-ადიუტანტი თავადი გოლიცინი ავად არის, ამიტომ, მე, კავკასიის მხარის მართვა-გამგეობის დებულების მე-31 მუხლის ძალით, შევუდექი კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობის აღსრულებას. კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ფრეზე“.

იმავე გაზეთის ოფიციალურ განყოფილებაში 10 ნოემბერს დაბეჭდილია, რომ გენერალ ფრეზემ მიიღო სამხედრო ოლქის ჯართა მთავარ სარდლობა და ყაზახის ჯართა ატამანობა.

ტფილისის ქალაქის გამგეობა იჯარით აძლევს ქალაქის დუქანს ბაზრის ქუჩის ბოლოს, ალექსანდრეს ბაღის შესავალში, სამხედრო უწყების ტაძრის სამრეკლოსთან. ვაჭრობა 15 ნოემბერს არის დანიშნული.

უსინათლოთათვის მზრუნველ საზოგადოების ტფილისის სამკურნალოს დირექტორად ბ-ნ ტარსაიძის ნაცვლად, რომელიც ავად არის, დანიშნეს მკურნალი ქალი პუტიატა.

გუშინ პეტერბურგიდან ტფილისში მოელოდნენ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს ინჟენერს ივანოვსკის.

ჰფიქრობენ, 1904 წელს ასწერონ და აღნუსხონ ის მამულები კავკასიაში, რაც ხაზინას ეკუთვნის.

იმპერატრიცა მარიამ ალექსანდრეს ასულის სახელობის უსინათლო სამზრუნველოს კავკასიის განყოფილება გვთხოვს ვაუწყოთ მკითხველებს, რომ 1 ოკდომბერს განყოფილების კასსაში იყო 15,029 მ. 89 კ., ოკდომბერში შემოსულა 659 მ. 89 კ. და სულ შემდგარა 15,689 მ. 78 კ. დახარჯულა ოკდომბერში 1347 მ. 60 კაპ. და ნოემბრისთვის დარჩენილა 14,342 მ. 18 კ. თვალით ავადმყოფთა სამკურნალოში ახალი ავადმყოფი ყოფილა ოკდომბრის განმავლობაში 497 კაცი და ქალი, რომელნიც წინად მოსიარულეთაიურთ 3547-ჯერ მისულან საქიმოდ. ოპერაცია გაუკეთებიათ 73 ავადმყოფისათვის.

მთავრობამ დაამტკიცა ბათუმში განზრახულ ქალაქის ურთიერთ დამზღვევ საზოგადოების წესდება.

22 ოკდომბერს ბაქოში მცხოვრებთა საყოველთაო აღწერა მოხდა. როგორც ადგილობრივი გაზეთები გადმოგვცემენ, ბაქოში სულ 207,913 სული მცხოვრები ყოფილა, აქედან მამაკაცი 128,566, დედაკაცი 79,327. კერძოდ ბაქოსა და ახლო-მახლო უბნებში 163,985 მცხოვრები ყოფილა, ხოლო ბალახანა-საბუნჩოში—43,928 მცხოვრები.

„კავკაზ"-ის რედაქტორად, როგორც ეს გაზეთი იტყობინება, მოწვეულია „ყაზანის საგუბერნიო უწყებათა" რედაქტორად ნამყოფი ნ. ფ იუშკოვი, რომელიც დღეიდან შეუდგება თავის მოვალეობის ასრულებას.

ოდესიდან ტრაპანის ფირმამ შეატყობინა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომ იმ ევროპიელ ქარხნების წარმომადგენლობა, რომლებიც ამზადებენ გოგირდს, შაბიამანს და სხვა მასალას ვაზის სამკურნალოდ, ჩვენმა ფირმამ იკისრაო. ტრაპანი სწერს საბჭოს, რადგან კავკასიაში დიდი მოთხოვნილებაა წამლებისა, დროით შემატყობინეთ, რამდენია საჭიროო. ფირმა შეღავათიან ფასად ჰპირდება წამლებს საზოგადოებას.

6 ნოემბერს, როდესაც ტფილისში ბაქოდგან მოსულ მატარებლის ერთი ვაგონი გაუსინჯავთ, ქურდობა აღმოუჩენიათ. ამ ვაგონიდან მოუპარავთ 11,000 მანეთის სამანუფაქტურო საქონელი. ვაგონს არაფერი ზიანი არ ეტყობა. ჰფიქრობენ, რომ ქურდობა ბაქოში უნდა მომხდარიყოს.

მკითხველებს ეხსომებათ, რომ ტფილისის საბაღოსნო სკოლის კამგედ ნამყოფმა პრიტულენკომ კარგა ბლომად ფული გაიყოლა სკოლისა. პრიტულენკო მებაღედ მიუწვევია კერჩის ქალაქის გამგეობას. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ სთხოვა კერჩის ქალაქის გამგეობას, დაუჭიროს პრიტულენკოს ჯამაგირიდან და გამოუგზავნოს სკოლის ფული.

ი. ი. ჯაფარიძე, რომელიც ვაჟთა გიმნაზიაში იყო მიწვეული მათემატიკის საგნების მასწავლებლად, სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა, რაღაც გაუგებარ მიზეზისა გამო, არ დაამტკიცა. მის მაგივრად დანიშნეს ვიღაც ლემბერგი, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩამოსულა ქუთაისში. („ცნ. ფურ".)

ჩვენებური ამბები

სოფ. გუგუნაყათი (ქუთაისის და სენაკის მაზრა). ამ სოფლის მცხოვრებნი უმეტესი ნაწილი ქუთაისის მაზრას ეკუთვნის, უმცირესი სენაკისას. მათდა საუბედუროდ, ამ სოფლის მკვიდრნი ორისავე მაზრის ადმინისტრაციას მივიწყებული ჰყავთ. აქვთ ერთი ხის ეკკლესია და ჰყავთ ერთი მღვდელი და მედავითნე. სკოლა? სკოლა რომ საჭმელ-სასმელი არ არის, ეს იციან ამ სოფლის მცხოვრებლებმა, თორემ მეტი არაფერი.

აგერ თვეზედ მეტია, რაც ამ სოფელში მძვინვარებს გადამდები სენი—ყვავილი. ჯერ ჯერობით რამდენიმე ადამიანიც იმსხვერპლა. ვინ იცის, აწი კიდევ რა შედეგი მოჰყვება და ნუთუ ღირსი არ არის ეს საბრალო ხალხი, ვისგანაც ჯერ არს, ყურადღებისა?

ქუთაისის მაზრის მცხოვრებნი სამიქაოს საზოგადოების მამასახლისს ეკუთვნის, სენაკისა—მარნის საზოგადოების მამასახლისს, მაგრამ ორივენი არას დაეძებენ ამ ხალხის ბედსა და უბედობას. ნუ-თუ ამ მამასახლისების მოვალეობა არ არის, აცნობონ უმაღლესს მთავრობას ამ გადამდებ სენის მძვინვარება სოფელში? იქნება ერთი ყვავილის ამცრელი მაინც გამოეგზავნა!

სოფელი მდებარეობს მდ. ცხენის წყლის მარჯვენა ნაპირზედ, აბაშის რკინის გზის სადგურიდან ექვსის ვერსის მანძილზედ. ამ მდინარემ ლამის წალეკოს ეს ადგილი. თუმცა თვით საცოდავი მცხოვრებლები ბევრს სცდილობენ ამ შეუბრალებელ მდინარის წინააღმდეგ, მაგრამ რა საქმე გაკეთდება, თუ კარგი მეთაური არ ეყოლა. აპრილში გადმოუხვია თავის კალაპოტიდან პირდაპირ გუგუნაყათლების საყანეებზედ—ბევრი სახნავი მიწა მთლად რიყედ გადააქცია და ბევრი ისე წალეკა, რომ სახნავათ-კი არა, საძოვრად აღარ გამოდგა. ასე და ამ ნაირად გაუცდათ გუგუნაყათლებს ორას ქცევამდე სახნავი მიწა და დაეღუპათ მოსალოდნელი ყანის მოსავალი. სად არის კაცი, რომ უწინამძღვროს ამ ხალხს და იქ, სადაც გაზაფხულზედ მოსალოდნელია გადმოუხვიოს კალაპოტიდან ამ მდინარემ (ის ადგილი თვალსაჩინოა), ამ ზამთრობით, როცა წყალი შესამჩნევად პატარაა, ჯებირი გააკეთოს და მით აასცდინოს თავზარი ისედაც ამ წლის მოუსავლობისგან დაზარალებულ ხალხს. დროა ყურადღება მიექცეს ამ სოფლის მცხოვრებთა უკიდურეს მდგომარეობას, ვისგანაც ჯერ არს.

ბეთლეველი.

—

ს. კავთისხევი (გორის მაზრა). წელს აქეთ პურის მოსავალს არა უჭირდა-რა და ღვინის მოსავლისა-კი რა მოგახსენოთ. ისეთ ცუდ გარემოებაში არიან მევენახენი, რომ არ იციან, საიდგან და როგორ იშოვნონ თითო კოკა ღვინო, რომ ან ქორწილი გადიხადონ და ან მიცვალებულის წესი და რიგი. ან ვისგან უნდა იყიდონ? ვისაც აქამდისინ მოსდიოდა ორმოც კოკობით, ეხლა ორი და სამიც აღარ არის, ან როგორ უნდა მოისხას ვაზმა, როცა არც თავის დროზედ წამლობა აქვს და არც მოვლა. გაათავებენ თუ არა რთველებსა, შელალამენ შიგ საქონელს. ამათ ჰგონიათ, საქონელს ბალახით დავამლობთ და ვაზი კიდევ ვაზათ დარჩებაო, მაგრამ ძალიან სცდებიან. ის ბალახიც რომ ისევ ვაზის ძირში ჩალპეს და ნიადაგიც არ ატკეპნინონ საქონლის ფეხს, უფრო კარგი იქნებოდა. ან რა ხეირი დაეყრება ვაზს და რა უნდა მოისხას, როცა გძელ-რქიანი კამბეჩები გადაბმულ ვაზებში გაივლიან და გააქვს ჰახა-ჰუხი ვაზების მტვრევას. პატრონიკა მისჯდომია იმ ორ თუნგ მჟავე ღვინოს და იძახის: მინამდისინ არ დავლევ, თავს არ დავანებებ, მაინც არ მოვიდა და მაინცაო.

დღლევას და ლოთობასაც ბევრი ხიფათი მოსდევს: ისე გიორგობისთვე არ გავა, რომ ან კაცი არ მოკლან, ან არ გაცივდეს და თან არ გადაჰყვეს. აი ორი მაგალითი: გაღმა სოფელ საკორინთლოში დაიძახეს: „ყეყემ მოკლა კიმოს ბიჭიო". რათა? იქნება მამულზედ მოუვიდათ ჩხუბი? არა, სულ ღვინის ბრალია, კიმოს ბიჭმა სიმთვრალით სილა გაარტყა და ყეყემ ხანჯალი ატაკა. მეორეც სამთავისს და სოფ. ქალის შუა იპოვნეს სიმთვრალით მკვდარი. ესეც ხომ ღვინის ბრალია? ასე რომ უმიზეზოთ დახოცილნი ერთ კვირაში დაასაფლავეს. კარგი იქნებოდა, რომ ამ ლოთობის მაგივრად ისევ იმ ვაზისთვის ყური გვეგდო და თავის დროზედ გვეპატრონა, რომ შემდეგისათვის ცოტა რამ იმედი მაინც ვიქონიოთ ცხოვრებაში.

ელიზბარ ჯაჯანაშვილი

—

საჩხერე. ოკდომბრის ბოლო რიცხვებში, როგორც იყო, გვეღირსა ახალ ლიანდაგის გაყვანა და მატარებლის მიმოსვლა დარკვეთიდამ საჩხერემდე. ყველა დიდს სიხარულშია ქალიან-კაციანა, მეტადრე ვაჭრის მანდილოსნები, რომლებიც ისე შეეჩვივნენ სადგურზედ ყოფნას, რომ ყოველ დღე განუწყვეტლივ გამოწყობილ-გამოკვანწულები დადიან თავის კავალრებით გულის გასაყოლად. ისედაც უსაქმურებს, ახალი საქმე გამოუჩნდათ, მეეტლეები კი თვალ-ცრემლიანნი შესცქერიან მატარებელს და წყევლა-კრულვით იხსენიებენ მის დაარსების დღეს. მატარებელი მიქროლავს, ხალხი იცინის, მეეტლეების ძვალ-ტყავა ცხენები ფრუხებიან და ეტლები ცარიელ-ტარიელი დარახრახებენ საჩხერის ქუჩებზე.

რკინის გზის ლიანდაგი გვაქვს, მაგრამ ჩვენ რა? ჩვენ ისევ წუმპე-ტალახში ვირჩობით და გზები მაინც არ გვივარგა, ქუჩის მოკირწყვლას ვერ ვეღირსეთ. ვერც ბაზრის თავში და ვერც ქვემოდ, მეტადრე ეკლესიის ახლო, სადაც წვიმიან დღეს ცხენიან კაცს უჭირს გავლა, თორემ ქვეითი ხომ ახლოსაც ვერ გაუვლის ამ დალოცვილ გზას კარგ დარშიაც. აქ ნაგავთან ერთად ჰყრია ნეხვი, ანუ ცხენის ფაშვის ლეში, რომლის საზარელი სუნი ადამიანს სულს უხუთავს და გულს ურევს. სისუფთავის დამცველი ხომ არ მოგვეძებნება. ამას თქვენი ჭირიც წაუღია, უარეს მდგომარეობაში რომ არ იყვნენ აქაური სკოლის შეგირდები და საქალებო სკოლის მოწაფენი. სკოლის ახლო ისეთი დიდი ტალახია, რომ საცოდავებს ფეხსაცმელები წიგნებთან ერთად ხელით საზიდი უხდებათ. თუმცა ადგილობრივმა ბოქაულმა ამას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია და განკარგულება მოახდინა, ქუჩის ორსავე მხარეს თხრილები ამოეღოთ, მაგრამ აქაურს მცხოვრებს შეასმენ რამეს?

ქუჩის უვარგისობას ისიც უნდა მივუმატოთ, რომ ქუჩებში ფარნები არ მოგვეპოვება და, თუ ანთია სადმე, ისიც დამსხვრეულ დამტვრეული, გამურული და უსინათლო.

ჩვენს ბაზრის მეთვალყურეს სძინავს და სძინავს სალათას ძილით და ჯერ ვერ გამორკვეულა, თუ მის გარშემო და ახლოს რაები ხდება. სულ მუდამ ჩხუბი, მუშტი-კრივი და ფიშტო-რევოლვერების ტკაცა-ტკუცი ბაზარსა და ქუჩებში და უწმაწურ სიტყვების სროლა აქა-იქ და მასხარად აგდება გამვლელ-გამომვლელისა.

ეს კიდევ არაფერი, რომ ქურდობა და ცეცხლის წაკიდება სახელდახელო იარაღად არ გაიხადოთ. მაგალითად, 18 ოკდომბერს, ღამის თერთმეტ საათზე, ცეცხლი წაუკიდეს და გადასწვეს ტოთის სახლკარი იმავე ალაგას, სადაც წინად თავად წერეთელს და გლეხებს ძნები გადაუწვეს. დღესაც იგივე ბედი ეწვია ერთ ქვრივ ქალს, რომელსაც სულს აქედ თუ რამ ებადა, ყოველივე დაეწვა. ისედაც დაღარიბებულ მუშა ხალხს რაღა ეს ეჭირვება? შიშით სახლს ვერავინ მოსცილებია და დღე და ღამ გულხელ დაკრეფილი შესცქერიან თავის კარმიდამოს, ცეცხლი არავინ წაუკიდოსო.

ამავე ღამეს კიდევ ერთმა ბოროტგანმზრახველმა ე. მიქაძის ბაღში დარგული ამერიკის ვაზის ნერგები დამსხვრა და მოიპარა, ოთხას ძირამდე. ამ მიქაძემ თითქმის ერთ წელიწადზე მეტია რაც მდინარე ყვირილის პირად ბაღი გააშენა და მეურნეობას ხელი მიჰყო; მაგრამ რა გამოვიდა, თუ ყოველ წელს ასე მოჰპარეს და გაუფუჭეს?

ი. ათინაშვილი.

კავკასია

მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა, კავკასიის მთავარმართებელთან შეთანხმებით, ნება დართო, მოწვეულ იქმნას ბაქოში 28 ნოემბრისათვის ნავთის მრეწველთა კრება.

— იმავე სამინისტროს საბჭომ დაადგინა, ბიბი-ჰეიბათის სანავთო მიწები პირველ ვაჭრობის მონაწილეთ მისცეს იჯარით.

რუსეთი

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ფონ-ვალი დათხოვნილ იქმნა ექვსის კვირით სამზღვარ-გარედ სამკურნალოდ.

— მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ჰფიქრობენ დააწესონ ცალკე საბჭო სამთო-მადნო სამრეწველო საქმეთათვის.

— ასი თუმანი უკვე შეუგროვებია 13 რედაქციას, რომ ვლ. კოროლენკოს პატივისცემის დღეს შესწირონ იმის სახელით რაიმე განმანათლებელ დაწესებულებას. უნდათ სხვა რედაქციებსაც მიჰმართონ, რომ მეტი ფული შეგროვდეს.

— განსვ. როსტოველმა ტკაჩოვმა 1897 წელს შესწირა საერო განათლების საქმისათვის 200,000 მან. მემკვიდრემ დავა დაუწყო ქალაქს. ქალაქმა ხმის უმეტესობით გადასწყვიტა, მოვურიგდეთ მემკვიდრესაო.

— ტიხვინის საერობო კრებამ დაადგინა, ვითხოვოთ, რომ გაადვილდეს სესხის აღება საგლეხო ბანკიდან მამულები სასყიდლად. ამას გარდა დაამტკიცა 165,532 მ. სახარჯოდ. აქედან საერო განათლებისათვის 37,322 მ. 09 კ., ხალხის სამკურნალოდ 34,942 მ.

— პოლტავის გუბერნიიდან გადასახლებულა 1902 წელს 2290 ოჯახი—13,198 სული, წინად წასულ 3608 გარდა. სულ 7 წლის განმავლობაში გადასახლებულა 20,000-მდე ოჯახი—124,612 სული.

— არდატოვის საერობო კრებამ უარჰყო თვისი წინანდელი გადაწყვეტილება და დაადგინა, მივიღოთ ხოლმე სამსახურში ტომით ებრაელნი მკურნალნიცაო.

უცხოეთი

იაპონია. გაზ. „ტაიმსი" იუწყება „რუსეთიდგან მიღებულ" ცნობებს:

„პეტერბურგის დიპლომატებ შორის უვარგისად აღიარეს ის პოლიტიკა, რომლის მეოხებითაც რუსეთმა თავისი ჯარები ჩააყენა პორტ-არტურსა და მანჯურიაში და ყველას დაკარგულად მიაჩნია ის აუარებელი ხარჯი და მსხვერპლი, რომელიც რუსეთმა გასწია ამ საქმისათვის. ახლა ადმირალ ალექსეევმა მხოლოდ იმისათვის უნდა იზრუნოს, რომ რამდენადმე მაინც შეასწოროს წინამოადგილეთაგან ჩადენილი შეცდომები. იმ ცდამ, რომ დიდ ოკეანეზე გაუყინავი ნავთ-სადგური ჩაეგდოთ ხელში, თითქმის უნაყოფოდ ჩაიარა. ჰგონებდნენ,—ახალი ნავთსადგური, დალნი, რომლის გაშენებასაც აუარებელი ხარჯი დასჭირდა, დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებასაო; როცა სამხრეთ-დასავლეთის ქარები ასტყდება, ისეთი მღელვარებაა ამ ნავთსადგურში, რომ ყოვლად შეუძლებელია ახლოს მიკარება. ინჟენრებმა ყოველი ღონე იღონეს ამ საშინელ სტიქიონის საწინააღმდეგოდ, ვეებერთელა კედელი ამოიყვანეს ზღვაში და 17 მილიონი მიახარჯეს, მაგრამ ამაოდ: მას შემდეგ, რაც კედელი ამოიყვანეს, ნავთსადგური ზამთრობით იყინება ხოლმე. ეს ალბად, იმის ბრალი უნდა იყოს, რომ წინად ძლიერ მღელვარების გამო, რომელსაც ახლა კედელი უშლის ხელსა, ზღვაზე ყინვა პირს ვერა ჰკრავდა. ამისათვის იძულებულნი გახდნენ ახალ ნავთსადგურის ძებნას შესდგომოდნენ და კიდეც აღმოაჩინეს ასეთი ნავთსადგური კორეის სანაპიროზე, პორტ-არტურსა და ვლადივოსტოკს შორის. ეს ნავთსადგურია—მოხამპო, მაგრამ რუსების ძისწრაფებას გზაზე გადაეღობა იაპონია, რომელიც არავითარ ღონისძიებას არა ზოგავს, რომ რუსეთს ფეხი ამოაკვეთინოს კორეიდგანაო.

— გაზ. „ნი-როკ"-ის სიტყვით, „კე[illegible]-შეი-ხონ-ტო"-ს დასის მეთაურს გრაფ ოკუმას თავისი აზრი გამოუთქვამს რუსეთის და იაპონიის უთანხმოების შესახებ. ოკუმა უარ-ჰყოფს იმ ხმებს, ვითომ იაპონიას კორეაში უკვე ჯარი გაეგზავნოს რუსეთთან საბრძოლველად. საქმე ჯერ ისე არ გამწვავებულაო,—უთქვამს ოკუმას,—ჯერ-ჯერობით პეტერბურგთან მოლაპარაკება გვაქვს გამართული; ჩვენ წარვუდგინეთ მეტად ცხადი და საჭირო მოთხოვნილებანი და, თუ არ დაგვაკმაყოფილეს, მაშინ-კი აუცილებლად ომი მოგვიხდებაო. როგორც ზოგიერთსა ჰგონია, საქმე ისე არაა: იაპონიისათვის ომი მაინც-და-მაინც საზარალო არ იქნება. ომი ორსა თუ სამს თვეს არც-კი გასტანს. ერთი მესამედი და ერთი მეოთხედიც-კი ჩვენის ფლოტისა სრულიად საკმარისია, რომ მთელ აღმოსავლეთის წყლებში მყოფი რუსეთის ფლოტი შემუსროს. ჩვენი ფლოტი ბევრად მძლავრია რუსეთისაზედ და ამასთანავე ომშიაც გამოცდილი და გამოწვრთნილი. რუსეთის ფლოტი-კი რამდენი ხანია ბრძოლაში არ ყოფილა. ჩვენი ხომალდებიც უფრო კარგადაა შეიარაღებული და უფრო მარდად მცურავნიც არიან, ვიდრე რუსეთისა. პირველისავე შეტევით დავამტკიცებთ, რომ აღმოსავლეთის წყლებში ჩვენ ყველაზედ უფრო ძლიერნი ვართ. ჩინეთიც უეჭველად ჩვენს მხარეს დაიჭერს და იმ დროს, როცა ჩვენ რუსეთის ხომალდებს შევუტევთ, ჩინეთი ხმელეთით ეკვეთება და მანჯურიის რკინის გზა გამოეცლება რუსეთს ხელიდან. თუ რუსეთმა მთელ თავის ხომალდებს პორტ-არტურში მოუყარა თავი, მაშინ უფრო ადვილად შევმუსრავთ რუსეთის მთელს ფლოტსა.

რუსეთის ძლიერების შესახებ მეტად გარდაჭარბებულ აზრისანი არიან: რადგან რუსეთს არა აქვს სამხედრო მოძრაობის უმთავრესი ნასკვი, მასთან ბრძოლა მეტად დიდხანს გასტანსო მაგრამ ეს ასე არაა. მე დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთი თითონა ჰგრძნობს ომისთვის მოუმზადებლობას. უნდა ვეცადნეთ, რომ არა დავუთმოთ-რა რუსეთს. მანჯურიის საქმე უსათუოდ მშვიდობიანად გადაწყდებაო".

წვრილმანი

მაქსიმ გორკის სთხოვა ერთმა გამომცემელმა—შენი ბიოგრაფია დამიწერეო. გორკიმ ასე ასწერა თავისი ცხოვრება:

1878 წ. შეგირდათ ვიყავ ხარაზთან.
18 9 წ. შეგირდათ ვიყავ მხატვართან.
1880 წ. ხომალდზედ ვიყავ ჭურჭლის მრეცხავ ბიჭად.
1884 წ. კომისსიონერობა დავიწყე.
1885 წ. ბულკს ვაცხობდი.
1886 წ. ოპერის ხოროში ვმღეროდი.
1887 წ. ვაშლსა ვყიდდი ქუჩებში.
1888 წ. თავის მოკვლა მინდოდა.
1890 წ. ვექილთან ვიყავ ქაღალდების გადამწერად.
1891 წ. ფეხით მოვიარე რუსეთი.
1892 წ. დავბეჭდე ჩემი პირველი რომანი.

—

ოქტავ მირბოს პიესას „საქმე საქმეა" ერთსა და იმავე დროს ბერლინში თამაშობენ, ვენაში, დრეზდენში, ფრანკფურტში.

ამბობენ, ქართული თარგმანიც მზად არისო.

—

სარა ბერნარმა უკვე გაათავა სენკევიჩის რომანიდგან სასცენოდ გადაკეთებული პიესა „ცეცხლითა და მახვილითა" და ამ ზამთარს წარმოადგენს თავის თეატრში.

—

თუ მართლა რიცხვი დაბეჭდილ წიგნებისა ერის განვითარებას ამტკიცებს, რუსეთი ერთობ ჩქარის ნაბიჯით მიიწევს განათლებისაკენ. რუბაკინის გამოანგარიშებით, რუსეთში დაბეჭდილა 1887 წ. 18 მილიონი წიგნი და წიგნაკი; 1891 წ. 23, 1892 წ.—25, 1893—27, 1895—35, 1898-44 და 1901 წელს 58.

—

ჩვენში ერისთავის „სამშობლო" და პარიჟში გუნოს ფაუსტი აქვთ მიცარიელებულ კასის შესავსებად. ითამაშებენ ახალს ოპერას, ზარალი ზარალს მოსდევს. მეტის მეტად რომ შესუსტდება კასა, ფაუსტს გამოაცხადებენ და კვლავ შეავსებენ დანახარჯს. 1902 წ. 30-ჯერ ითამაშეს ეს ოპერა და თითოზედ 636 თუმანს იღებდნენ.

—

ეხლახან გამოქვეყნებულ სტატისტიკის ცნობათაგან სჩანს, რომ ინგლისში თითქმის ყველა ასპარეზზედ მოღვაწეობენ ქალები. მუშა ქალთა რიცხვი 1902 წლის დამდეგს შემდეგი იყო:

მასწავლებელი—170,900, მწერალი და ჟურნალ-გაზეთის თანამშრომელი—2,200 მხატვარი—3700, ნოქარი—56,000, კომისსიონერი—400, ომნიბუსის კონდუქტორი—8, ექიმი 212, საქონლის ექიმი—3 და კბილის ექიმი—140. გარდა ამისა, მესაფლავენი—280 და ბუხრის მწმენდლი—55.

—

შვედელ ქალს, როდესაც დადგენილს ხარჯს იხდის, პოლიტიკური უფლებაც ეძლევა, მაგრამ ბევრი არ სარგებლობს ამ უფლებით. 1880 წ. 3522 ქალთაგან მარტო ცხრამ მიიღო მონაწილეობა არჩევნებში, ესე იგი ასზედ 0,2; 1900 წელს 6452-დგან 112, ესე იგი ასზედ 1,9; 1903 წ. 9539-დგან 972, ესე იგი ასზედ ათმა.

—

დრეზდენელმა ქიმიკოსმა ფონ-მეიერმა ალკოოლი გამოხადა ადამიანის განავალიდგან: ერთი კილო განავალი 225 ლიტრა ასანთებს გაზს იძლევა და 70—80 გრამს ალკოოლს; ეს ალკოოლი არაფრით განირჩევა პურის და კართოფილის ალკოოლისაგან. შეამოწმეს ეს საშუალება და აღმოაჩნდა, რომ 100 კილო კართოფილს რომ 5 კილო ხაში დაუმატოთ, სულ 11 ლიტრა სპირტი გამოიხდება და განავალი-კი, იგივე 100 კილო, რომელსაც ხაში არა სჭირდება, 9 ლიტრას მოიცემა. ფონ-მეიერის ანგარიშით, ქალაქში რომ 200 ათასი სულ მცხოვრები ირიცხებოდეს, არაყი თავზესასხმელი ექნება, რადგან წელიწადში 37616 ვედრო ალკოოლი გამოიხდება, გარდა იმისა, რომ ასანთები გაზიც საკმარი ექნებათ.

—

1846 წ. იერუსალიმში სულ 7000 ებრაელი იმყოფებოდა, ფრიად გაჭირვებულნი და უნუგეშონი. იქ მყოფის ინგლისის კონსულის ფინნის ცოლმა ვენახი იყიდა, „აბრამის ვენახად“ წოდებული, და ებრაელთ მისცა—იმუშავეთ იცხოვრეთო. ვენახში 2812 მანეთი მისცა. ებრაელთ ისე შეიმუშავეს, ისე ააყვავეს, რომ 185 ათას მანეთად ღირს. დღეს ამ ვენახის მუშათაგან გასულნი პალესტინაში 200 სხვა-და-სხვა ალაგას მუშაობენ ებრაელნი და მით ამტკიცებენ, რომ მიწის მუშაობაც კარგად შესძლებია ამ დევნილს ხალხს.

ნარკვევი

გაზეთ „ნოვ. ვრ.“-ში, რომელიც მეჭურჭლესავით საითაც უნდა, იქით გამოაბამს ყურს ჭურჭელს, ბ-ნი სი—ლოვიჩი სწერს კავკასიის შესახებ.

ამ ქვეყნის სრულის დამშვიდებისა და დაწყნარებისათვის უმთავრესად საჭიროა შეუმდრკალი კულტურა სამართლიანობისა და კანონიერებისა. კავკასიელნი, როგორც რუსნიც, ყურ-მახვილნი არიან და მაშინვე მიხვდებიან ხოლმე, როცა მხარს აუქცევენ ერთად-ერთს სამართლიანს გზას. სამწუხაროდ, ხშირია ფრიად სავალალო მოვლენა.

ვისაც უნდა განკურნოს ერის წყლული, უნდა წინად აჩემებულს აზრს თავი დაანებოს, გაიცნოს ხალხის არა მარტო ნაკლულევანებანი, არამედ დაავასოს მისნი ღირსებანიც. ყოვლად-სასიერს შემოქმედს რომ არ შეეძლო განსაკუთრებით ბიწიერნი ერნი შეექმნა და მერე კიდევ მხოლოდ კავკასიაში დაესახლებინა.

ჯერაფერი დიდი სიბრძნეა, დაუფიქრო ხალხს, შიშის ზარი დასცე ნერვებ-მოშლილებს. საქმე ის არის, რომ იტვირთო ჭეშმარიტი მისიონერობა რუსის სახელმწიფო კაცისა, რაიცა ყველას არ შეუძლიან. ასეთის კაცის პოვნა ძნელია და, თუ იპოვნი, მხარიც უნდა დაუჭირო.

სამხედრო გრიგალით, ცეცხლითა და მახვილით, შიშითა და სისხლის ღვრით კავკასია დიდი ხანია დაპყრობილია. მოვიდა დრო, როცა ჭეშმარიტმა რუსულმა კულტურამ უნდა დაიწყოს მოქმედება.

გუშინ სხვას ამბობდა გაზეთი, დღეს სხვას ამბობს. ასე, ჩემო მანასეო, ხან ასე და ხან ისეო.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

კვირას, 9 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა დრამა კანო-ი-მაზასისა „უბედური“ და ვოდევილი «ცოლქმრობის წინააღმდეგი»—«საუბედურო დებიუტის» მაგიერად, რომელიც გადადებულ იქმნა ტასო აბაშიძის ავადმყოფობის გამო.

ცხოვრება საძაგელია: ადამიანთა შორის ყალბი ურთიერთობა სუფევს; არავითარ უანგარო, გულწრფელს შველას არ უნდა ელოდეს კაცი, რომელიც-კი უსვინიდისობის და ანგარების ბადეს მოხვდრია; ის „უბედური“ უბრალო სადსრად, იარაღად არის გადაქცეული სხვის ხელში და მაზედ შენდება ბედნიერება, რომლის მაცოცხლებელი ღერძი ჩვენს დროში ფული გამხდარა.

აი ის, რის თქმაც ავტორს უნდოდა თავის «უბედურით».

უბედური პიეტრა (ა. გარგარეთელი) სწორედ ამნაირ იარაღად გამხდარა სანჩოს (გ. შათირიშვილი), პრეფექტო (ბ. გედევანოვი), დიუკრეციას (ნ. გაბუნია-ცაგარელი) ხელში, რომელნიც ათასნაირ ქსელით გადაუბამს ერთმანერთში ფულის სიყვარულს, გამდიდრების სურვილს...

ამ ქსელში გაბმული პიეტრა იძულებულია, თვით შვილზედაც-კი უარი სთქვას, მოიხაროს ქედი ბოროტების წინაშე, მაგრამ სწორედ ამ დროს სიმართლე მარცილის სახით ანგრევს შენობას, ანგარებით, უსინდისობით აშენებულს, სჯის ბიწიერებას...

დიაღ, აუტანელი იქნებოდა ამ «უბედურთა» მდგომარეობა, შეუძლებელი იქნებოდა ბოროტების კლანჭებიდან თავის დაღწევა, რომ ეს მარცილები არ აგებდნენ სამაგიეროს, შურს არ იძიებდნენ ყოველ კაცის ღირსებათა და ადამიანობის შელახვისათვის. მხოლოდ ამ მარცილების იმედით შეიძლება კაცი დროებით მოურიგდეს დღევანდელს ცხოვრების ბევრს ჭირ-ვარამს, იმ იმედით წაქეზებული, რომ ვერა-რა შეაფერხებს სიმართლის გამარჯვებულს და მამაცს წინსვლას...

პიესა კარგად, საინტერესოდ დაწერილია და მისი წარმოდგენა გაცილებით სჯობია ყველა იმ „კოვერლეის მკვლელობის“ და «ორ-ჯიბგირების».

წარმოდგენითაც კარგად იყო წარმოდგენილი ეს პიესა... კარგი იყო გ. მესხი (მარცილი); რასაკვირველია, თვით როლის ხასიათიც უწყობდა ხელს მსახიობს, როცა ზოგ-ზოგ ალაგას თანაგრძნობის და თაიქმის აღტაცების საგნად ხდებოდა.

კარგი იყო გედევანოვი თავის მიმიკით, გ. შათირიშვილი, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. გარგარეთელი; არა უშავდა-რა ნ. დავითიშვილსაც; საჭიროა მხოლოდ მეტი გაბედულობა და სითამამე თამაშობის დროს და საქმეც კარგად წავა. სხვებსაც არა უშავდათ-რა.

დრამის შემდეგ წარმოადგინეს ვოდევილი «ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი» გ. აბაშიძისა და მ. საფაროვ-აბაშიძის მონაწილეობით.

ამ მოძველებულმა ვოდევილმა ნიჭიერ მსახიობთა ხელში ბევრი სიცილი და მხიარულება გამოიწვია მაყურებელთა შორის.

ხალხი წარმოდგენას ძლიერ ცოტა დაესწრო... პირველ მოქმედების შემდეგ-კი საიდგანღაც შეგროვდა.

ქ. ყი—ნი.

ქუთაისი. პარასკევს, 7 ნოემბერს, ბ-ნ ვ. ალ. მესხიშვილის მონაწილეობით და ბ-ნ ი. კარტავას სადებიუტოდ წარმოდგენილ იქმნა «ავადმყოფი ხალხი» და «პედაგოგები». ბ-ნს ვ. მესხიშვილს დიდი შეცდომა მოუვიდა, რომ ბ-ნი კარტავა გამოიყვანა პირველად სცენაზე ისეთ ძნელ და საყვარელ როლში, როგორიც არის «ავადმყოფ ხალხში» ვილჭელმის როლი. არც მიხვრა-მოხვრა და არც კილო არ უვარგა. გადაჭარბებული მანჭვა-გრეხვა და შუბლზე მალ-მალ ხელის სმა, რითაც უნდოდა გამოეჩინა ტანჯვა-მწუხარება, უფრო ამახინჯებდა მის თამაშს. ასეთი სადებიუტო პიესები დააფრთხობს საზოგადოებას.

მესხიშვილი რობერტის როლში შეუდარებელი იყო, რისთვისაც ჩვეულებისამებრ დაჯილდოვებულ იქმნა უხვის ტაშის კვრით. და ვაშას ძახილით ბ-ნი გუნია ექიმის როლში ვერ იყო ისეთი, როგორც მოსალოდნელი იყო. ეს როლით შარშან ბ-ნმა ჯანიევმა უკეთ ითამაშა. სხვებს არა უშავდათ-რა და ანსამბლს ხელს უწყობდნენ.

«პედაგოგებმაც» ვერ ჩაიარა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო, თუმცა როლები რიგიანად იყო დანაწილებული, მაგრამ ყველა რადაც უგულოდ ეკიდებოდა თავის როლს. არავითარი სიცოცხლე არც ერთს არ ეტყობოდა. თითქო ვინმე ძალას ატანსო, ისე იმეორებდნენ სუფლიორის მიერ მიწოდებულ სიტყვებს. ხალხი ბლომად დაესწრო, მაგრამ ვერაფერი ნასიამოვნები დაბრუნდა შინ.

Alliense

P. S. კვირას, 9 ნოემბერს დანიშნული იყო წარმოსადგენად ქ-ნ ე. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით «ლამე», და «ალდუმი».

იგივე.

რუსული ოპერა ფიგნერის დასის მიერ გამართული წარმოდგენები ჟირარდონის მონაწილეობით ორნაირად ნაყოფიერია. ჯერ ერთი აღსრულების მხრით, მეორე—შემოსავლისა. ბ-ნმა ჟირარდონმა ჯერ ჯერობით ხუთ წარმოდგენაში მიიღო მონაწილეობა: დემონის შემდეგ იმღერა ონეგინის პარტია და შესანიშნავადაც. შემდეგ «ბალმასკარადში» რენატოს პარტია; «კარმენ»-ში ტორეადორის ესკამილიოსი (შაბათს) და კვირას—«სევილიელ დალაქში»—ფიგაროსი და «ერნანის» მესამე მოქმედებაში—დონ-კარლოსისა.

«ბალ-მასკარადის» შესახებ ვერას ვიტყვით, რადგანაც არ დავესწრებივართ ამ წარმოდგენას. რაც შეეხება ტორეადორის პარტიას, გამოტეხილი უნდა ვთქვათ, ამ პარტიის აღსრულებით მომღერალმა ვერ დაგვაკმაყოფილა. ხმის გამომეტყველებას ისე ძლიერი და მკაფიო რადი ჰქონდა, როგორც საზოგადოდ სჩვევია. ამის გამო სარეჩიტატივო ფრაზები უმნიშვნელოდ იკარგებოდა. გარეგანის აღსრულებით, ცოტა არ იყოს, ცირკისებური ელფერი აადევნა გაუწყვეტლის მოძრაობით სცენაზედ და ხელების ქნევით. ეჭვ-გარეშეა, ბ-ნ ჟირარდონის ხელზე ის გარემოებაა დაუხვევია, რომ ტორეადორი ღვიძლი შვილია ცირკისა და, მაშასადამე, ჯამბაზურ მიხვრა-მოხვრას ჩვეული. მაგრამ ხელოვნების ისეთ სერიოზულ დარგში, როგორიც არის ოპერა,—საჭიროა ზომიერება, მით უფრო, რომ ტორეადორი ჯამბაზი როდია, არამედ იდეალი ვაჟკაცურ სიმხნე სიმამაცისა, რომელსაც თანასდევს დარბაისლობა, ზავთიანობა.

«სევილიელ დალაქში» ბ-ნი ჟირარდონი მშვენიერი რამ არის: ცოცხალი, სხარტი, მუდამ მხიარული, მკაფიოდ გამომთქმელი ფიგაროს ჩქარად-გამოსათქმელ ფრაზებისა, რის გამოც ეს პარტია მეტად ძნელი დასაძლევია მომღერლისათვის. ბომარშეს ფრთაშესხმული კომიზმი და როსსინის საკვირველი ჰანგოვნება თითქოს მიტომ შეერთებულა ამ ოპერაში, რომ რაც შეიძლება მეტად გაუძნელოს საქმე მსახიობ-მომღერალს. მაგრამ ვინც დასძლევს ამ დაუსრულებელ ხლართს სიტყვებისა და მუსიკისას—ის მიაღწევს საპატიო საფეხურს ხელოვნებისას. ბ-ნმა ჟირარდონმა ისე გაწყვიტა ეს ხლართი, რომ არც ერთ ადგილას ფეხი არ წაუსხლტომია.

«ერნანი»-ს მესამე მოქმედება ბ-ნმა ფიგნერმა ალბად იმიტომ ჩაურთო კვირის წარმოდგენას, რომ ყოველ მხრივად ეჩვენებინა საზოგადოებისათვის ამ ხელოვნის თავისს გასტროლიორის ცხოველ-მყოფელობა, როგორც მომღერლისა. და სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ბ-ნმა ჟირარდონმა არ გაუმტყუნა ბ-ნ ფიგნერს მოლოდინი. შესანიშნავის კეთილშობილურის იერით იყო აღბეჭდილი დონ-კარლოსის არსება, ბ-ნ ჟირარდონის მიერ გაპიროვნებული. მომღერლის ხმა ზარივით ჟღერდა, განსაკუთრებით ასაკიდებელ ადგილებში და ეს საამო ჟღერა სრული მაჩვენებელი იყო დონ კარლოსის ზნეობრივ ახოვნებისა. ცნობილი ჰანგი «ჰო სომოკარლო»—ძლიერის მეტყველებით სთქვა მომღერალმა. ამ დროს მისი ხმა ისე ირხეოდა საერთო საანსამბლო დარბაზში, როგორადაც თვალსაჩინო ყვავილი ერთ-ფეროვან ნაქარგზედ.

შაბათისა და კვირის წარმოდგენებს დიდძალი საზოგადოება დაესწრო, განსაკუთრებით კვირისას. დარბაზი მთლად გაჭედილი იყო.

ნასართობი

უწინ და ახლა

უწინ ჩვენში ბევრი ღვინო მოდიოდა, იაფი იყო და ყველაც ეტანებოდა მისს სმას. მაშინ გაჩნდა ერთგვარი ტიპი ჩათუქსნების, რომელთაც მეტ-სახელად ტიკსუსუნები ერქვა.

ახლა ღვინო გაძვირდა და ბევრი ვეღარ სვამს. სამაგიეროდ, გამრავლდა და გაიაფდა წიგნები და ყველა წერა-კითხვის ცოდნას ეტანება. უწინდელ ჩათუქსნებს ნიადაგი დაეკარგათ, გადაგვარდნენ და ტიკსუსუნები გადაიქცნენ მარქსუსუნებად...

⁂

უწინ მწერლობდა მხოლოდ ის, ვისაც ცოდნა და ნიჭი შესწევდა. მაშინ ერთ მწერალზე ასი მკითხველი მაინც მოდიოდა.

აწ-კი ყველა მარქსუსუნე მწერალია, კალამი და ქაღალდი თუ იშოვა. ახლა ამ ჯურის ასს მწერალზე ერთი მკითხველი ძლივს მოდის...

⁂

უწინ რითმა იყო მოლექსეთა მონა, ახლა მოლექსენი არიან რითმის მონები.

⁂

უწინ მარტო ქალები ატარებდნენ ლეჩაქს, ახლა ყველას ლეჩაქი ხურავს.

⁂

უწინ მეჭორეს «ჭორის-მთესი» ერქვა, ხლა-კი „რეპორტიორი“ ჰქვია...

კაწო ურიადია.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 ნოემბერი

პეტერბურგი. ხელმწიფე-დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის ჯანმრთელობის ბიულეტენი: „მის უდიდებულესობას გუშინ დღისით თითქმის სამი საათი ეძინა; საღამოთი ტემპერატურა—37,7, მაჯა—75. ღამე მის უდიდებულესობას დრო გამოშვებით ეძინა. დილით ტემპერატურა 37,2, მაჯა—70 თვითგრძნობიერება საკმაოდ კარგი აქვს. მადა უმჯობესდება. მარჯვენა ყურის ავადმყოფობა ნორმალურად ურჩება“.

სოფია. აქაური გაზეთები დიდის აღტაცებით ეგებებიან დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულის პასუხს პრინცესა კლემენტინას წერილზე, რომელშიაც სთხოვდა ხელმწიფე-დედოფალს ლტოლვილთა შებრალებასა და მათ სასარგებლოდ რუსეთში შეწირულებათა შეკრებას. საპასუხო წერილში ხელმწიფე-დედოფალი აუწყებს, ჯერ კიდევ მისმა უდიდებულესობამ საკუთარის თაოსნობით იშუამდგომლა და წითელის ჯვრის საზოგადოებას ნებართვა აუღო, რომ მაკედონელ ლტოლვილთა სასარგებლოდ შეწირულებათა შეკრება დაეწყო; დედოფალი სთხოვს პრინცესას, შეკრებილ შეწირულებათა დარიგება იკისროთ.

შანჰაი. ნიუ-ჩუანიდან იტყობინებიან, ადგილობრივმა ჩინელმა მოხელეებმა პირდაპირ განაცხადეს, რუსეთი ქალაქის მეორედ დაჭერით გვაგებინებს, რომ ხელშეკრულობით მიპოვებულ უფლების განხორციელების ნებას არავის მისცემს, მაგალითად, ისეთ უფლებისას, როგორიც ამ ხანებში დადებულ ხელ-შეკრულობით შეერთებულმა შტატებმა მიიპოვეს.

ტოკიო. თუმცა კორეის მთავრობა იმ აზრისა იყო, რომ იოგამპოს ნავთსადგური ყველასათვის ღია ყოფილიყო, მაგრამ რუსეთის ელჩის რჩევით ამ საქმის გადაწყვეტა გადასდო.

ლონდონი. აქაურ იაპონიის საელჩოს იაპონელების მიერ იჩეუს ნავთსადგურის დაჭერის შესახებ არავითარი ცნობა არ მოსვლია.

კოლონი. პანამის მთავრობამ უარჰყო კოლუმბიის სამის კომისარის წინადადება.

ბელგრადი. ხმა, ვითომ მეფეს დამბლა მოსვლოდეს, ტყუილია.

კატანია. დღეს მიწა იძრა. პროვინციის სხვა ადგილებიდანაც მოდის ცნობები მიწის ძვრის შესახებ.

ვინძორი. მეფე-დედოფალი იტალიას გაემგზავრნენ.

ჰელსინგფორსი. გასულ 29 ოკტომბერს უმაღლესად დამტკიცებულ დადგენილების თანახმად, რუსეთის ქვეშევრდომთ, რომელნიც ფინლიანდიის მოქალაქეთა უფლებით არა სარგებლობენ, ნება ეძლევათ ფინლიანდიაში უძრავი მამულები შეიძინონ და იუფლონ ისე, როგორც ფინლიანდიის მკვიდრთ. წინანდელი შეზღუდვა ამ უფლებისა თავის ძალაში რჩება მხოლოდ ებრაელებისათვის.

ოდესა. ელისავეტგრადის ეპისკოპოსი მემნონი გარდაიცვალა.

9 ნოემბერი

პორტსმუტი. იტალიის მეფე და დედოფალი წავიდნენ აქედან იახტა „ვიქტორია და ალბერტ“-ით.

სტამბოლი. გუშინ მინისტრთა საბჭომ ვერაფერი გადასწყვიტა რეფორმათა მოთხოვნის შესახებ, თუმცა მზად არის დათმობისათვის.

სოფია. *) 8 ნოემბერს პრინცესას სახელწოდების დღეს სოფიის სასახლეში შეიკრიბა მთავრის სახლეულობა; მოვიდნენ საქსენ-კობურგელ პრინცების ფილიპესა და ავგუსტის შვილები; მოელოდებიან აგრეთვე პრინცესას შვილისშვილებს.

ბერნი. დ. პალეზიასთან რკინის გზაზე უბედურება მოხდა. 6 კაცი (მოკლულია?), მათ შორის 2 შვილი რუსის გრაჩევისა, რომელიც, როგორც ჰფიქრობენ, სცხოვრობს პეტერბურგში, და მათი გუვერნანტკა ქ-ნი რიკეტი. ესენი მონტრეს მიემგზავრებოდნენ.

10 ნოემბერი.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულს ღამე ძილი უკრთებოდა. წუხელის საღამოზე სიცხე 38,6; მაჯა 72- დღეს დილით სიცხე 37; მაჯა 70. ყურის ანთების პროცესი ძალიან მძიმედ მიდის“.

პორტ-არტური, ტიანძინიდამ იტყობინებიან, რომ 300-ზე მეტი იაპონელთა სალდათი და რამდენიმე აფიცერი საომბლოში წასულან.—იაპონიის გაზეთი „ნაგასაკი სიმპოო“ იტყობინება, 10 ნოემბერს იაპონიის ესკადრა საიდუმლო მიწერილობისა გამო სასებოს ბოლაზიდამ ზღვაში გავიდა.—პეკინიდამ იტყობინებიან, რომ გარეშე საქმეთა და ვაჭრობის მინისტრებმა დეპეშით მოსთხოვეს თათართა გენერლებს, ვიცე-კოროლებს ზღვის პირას მდებარე პროვინციების გუბერნატორებს ცნობანი იმ ქალაქების შესახებ, რომლებიც გარეშე სახელმწიფოთა სავაჭროსათვის უნდა გახსნილ იქმნან. განსაკუთრებულმა კომიტეტმა, რომელიც ხელმწიფის მოადგილესთან არსებობს, დაამთავრა თავისი თათბირი.

შერბურგი. იტალიის მეფე-დედოფალი მოვიდნენ და აქედგან რკინის გზით იტალიაში წავიდნენ.

ვენა. გაზეთები ამბობენ, რომ დელეგაციები 2 დეკემბერს არიან მოწვეულნი. მომავალს კვირას ავსტრიის და უნგარეთის დელეგატები მიდიან.

ნიუ-იორკი. პენსილვანიის რკინის გზაზე მომხდარ ცეცხლის გამო დაიღუპა 35 იტალიელი მუშა.

ჟენევა. საკავშირო საბჭოს ბრძანებისა გამო ანარქისტებს სახლები გაუშინჯეს. დააპატიმრეს რამდენიმე რუსის ანარქისტები, რომელთაც შვეიცარიიდან განდევნიან.

ბერლინი. გავლილ ღამეს ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში ძლიერი ქარიშხალი იყო, რომელმაც დიდი ვნება მოუტანა.

სოფია. როგორც სტამბოლიდან იტყობინებიან, მინისტრები კვლავ თათბირობენ რეფორმების შესახებ. ჯერ-ჯერობით არა გადაუწყვეტიათ-რა. „Temps“-გან გავრცელებული ხმა, ვითომ მინისტრთა პეტროვსა და პეტკოვის შორის განხეთქილება ჩამოვარდაო, საფუძველს მოკლებულია. კაბინეტი სრულიად ერთსულოდ მოქმედობს.

კიშინევი. პირველი პროცესი ურიების დაწიოკების გამო, რომელიც უნდა გათავებულიყო 6-12 ნოემბრამდე, როგორც სჩანს, დიდხანს გასტანს. 500-ზე მეტი მოწმეთაგან ჯერ მხოლოდ 11-ს ჰკითხეს, დაზარალებულ ებრაელთაგან პროცესში მხოლოდ 16 რწმუნებული იღებს მონაწილეობას. ბრალდებულ ებრაელებს 14 დამცველი ჰყავთ. საქმის გარჩევა ხალხის დაუსწრებლად სრულდება. კარაბჩევსკის თხოვნა, იშუამდგომლონ იუსტიციის მინისტრის წინაშე, რათა საქმის გარჩევას ხალხი დაესწროს, უყურადღებოდ იქმნა დატოვებული პალატისაგან.

---

*) ოპოზიციის მომხრეთაგან.

„ივერიის“ ფოსტა

დროებით შორაპნელს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

პეტერბურგის ბირჟა

7 ნოემბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93.80
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,62½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა	95⅛ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	459½ წ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	348 გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	295 წერ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა	—
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	92⅜ გაყ.
6% ქუთ. საად მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკტომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 წ. 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 8 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

გამოსადეგი ცნობები.

საეკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობით და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებია-ქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და იდგის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე ილება 4 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ, თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

მიმოსვლა ეტლებისა კავკასიის გზით.

კარეტა ვადიანი გადის ტფილისიდგან კავკავს 7-სა და 8 საათზედ დილით, ღამე ჩერდება მლეთში და კავკავს მიდის საღამოს 7 საათზე.

გარდასახადი:

1 კლასით	15 მან.
2 „	10 „
3 „	5 „

ლინეიკა გადის ტფილისიდგან ნაშუადღევის 3 საათზე, ღამე არსადა ჩერდება.

გარდასახადი:

1 ადგილისა	6 მ. 80 კ.
2 „	4 „ 80 „

ნიხრი ეტლებით მიმოსვლისა

ქ. ტფილისში.

საათობით	60 კ.
ერთ გზობით	30 „
ქალაქიდგან ავლაბარში	40 „
ნავთლუღში	50 „
ავლაბრიდგან ნავთლუღს.	30 „
ნათლუღიდგან ქალაქს	40 „
ქალაქიდან და ავლაბრიდგან რკინის გზის სადგურამდე	50 „
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	80 „
ქალაქიდგან და ავლაბრიდგან მუშთეიდის ბაღში და დიდუბეს	40
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	1 მ.
ქალაქიდგან ორთაჭალას, საპყრობილემდე	80 კ. „
კრწანისის ბაღამდე	80 „
ნათლუღიდან რკინის გზის სადგურსა და მუშთეიდის ბაღამდე	80 „
რკინის გზის სადგურიდან ქალაქსა და ავლაბარს	60 კ.
იქიდამ ნათლუღამდე	1—20

იქ თუ რკინის გზის მატარებელმა დაიგვიანა, ყოველ ნახევარ საათში 30 კაპ. ემატება.

მართლმადიდებელთა სასაფლაომდე 50 კ.

ეს ნიხრი სავალდებულოა ღამის 1-ლი საათამდე; შემდეგ-კი 1 ოკდომბრიდგან 1 აპრილამდე ერთგზობით უნდა მიეცეს 50 კ. ხოლო 1 აპრილიდგან 1 ოკდომბრამდე 30 კ.

კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი $1^1/_2$-დგან 2-მდე და ა. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

ნიხრი ხორცისა.

საქონლის ხორცი:

1 ხარისხისა გირვანქა	11 კ.
„	8 კ.
3 „	96 კ.
სუკი „	15 კ
ცხვრის ხორცი	10 კ.
კამეჩისა	7 კ.
ღორისა	
1 ხარისხის (საკატლეტე)	11 კ.
2 „ (ბარძაყი)	10 კ.
3 „ (დანარჩენი ნაწილი, ტყავებული)	8 კ.

ნიხრი პურისა.

თორნეში გამომცხვარი

1 ხარისხისა	5 კ.
2 „	$3^1/_2$ კ.
3 „	3 კ.

განცხადებანი

ქუთაისში

ს. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენით და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.



როიალები პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, კიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ. და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები

მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

ბ. მ. მირიმანიანისა.

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО

Б. М. МИРИМАНІАНЪ

Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—6)

საკოსმეტიკო მასალა

БЕРТА РИСЪ

მის იმპერატორ. უდიდებ. კარის ვაჭარი,

Pasta Eugènie საცხებელი (პუდრა) პირი-სახისათვის, რომელიც აქრობს სწრაფად მზისგან ალანძულებას, ჭორფლს, სიწითლის ლაქებს არბილებს პირისახის კანს, აგრეთვე სიახლეს და სილამაზეს აძლევს სარეს. ფასი 1 მ. 60 კაპ.

პუდრა-**Eugènie** თეთრი, ვარდის ფერიდა რაშელი, მაგრად ეკვრის კანს და თვალძსათვის უჩინარია; აგრეთვე აძლევს პირის-სახის კანს შესანიშნავს სირბილეს, სიფაფუკესა და სინაზეს. ფასი 1 მ. 20 კ. შესაფქვევის ბუმბულის კანით 1 მ. 50 კ.

ფერ-უმარილი-**Eugènie** (წყალივით არის) და აძლევს ღაწვებს და ყურებს სრულიად ბუნებრივს ვარდის ფერს, რომელსაც არ ეშინიან არც დღისა და არც ელექტრონის სინათლისა. ფასი 1 მ. 50 კ.

Flizir-Mélange წყალივით სახმარია თმის ასაზრდელად და თავში ქერტლის გასაწყობად. ფასი 2 მ.

დაფნის ბალზამი (პუდრაა წყალივით) აძლევს პირი-სახეს, ყელს, ხელებს და სხვ. სნაზეს სირბილეს და მარმარილოს მზგავს სისუფთავეს. აქრობს მზისგან ალანძულობას, ჭორფლს და კანის ყოველსავე ძიძიბოებს. ფასი 1 მ. 75 კ.

ქინაქინ-გლიცერინის-მიერი (თმის საცხებელი პომადა) პერუს ბალზამით შეზავებული გასამაგრებლად და გასაზრდელად თმისა. ფასი 2 მან.

საღებავი თმისა (რის-გუტმანი): შავი, მიხაკის ფერი, შატენი და ბლონდი. ამ საღებავით შეღებილი თმა 6 კვირის განმავლობაში შეირჩენს ფერს; შემდეგ არ მიიღებს არც მოწითანო ფერს და არც ჯიგრის ფერს. ფასი 3 მ.

უნგარული ესენცია ულვაშებისათვის რის-გუტმანი) აძლევს ულვაშებს სასურველს ფორმას, ამაგრებს და ხელს უწყობს მათს მსწრაფულს ზრდას. ფლაკონი პატარა სარკით ადვილად შეინახება ჟილეტის ჯიბეში. ფასი 75 კაპ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის რის-გუტმანისა) აქრობს ბებერებსა და მეჭეჭებსა, ძირიან-ფესვიანად. ფასი ფლაკონისა—80 კ-

უმთავრესი საწყობი ტფილისშია. სააფთ. საქონ. ვაჭრ, ამხ,-ში და ყოველ სააფთიაქო მაღაზიაში,

ტექსტი ამოღებულია „Прав. Вѣст“.იდან, № 233 1901 წ. (40—39)



Парфюмерія „Чампака“

Духи, мыло и цвѣточный одеколонъ

Т-ва А. Ралле и К°.

გამოვიდა და იყიდება ყველგან ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ № 63.

შოთა რუსთაველის

ვეფხის ტყაოსანი

4 პორტრეტითა და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელის ლექსიკონით.

XXX+361 გვ. ფასი სამი აბაზი.

50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზედ და ითითო ცალი ღირს ერთი მან,

За годъ съ пересылкой 6 р.

ОТКРЫТА **на 1904 г.** ПОДПИСКА на еженедѣльн. иллюстриров. журналъ и газету

26-й годъ издан. **„РОДИНА“** 26-й годъ издан.

РАЗСРОЧКА допускается при подпискѣ 2 р.

Каждый подписчикъ получитъ въ теченіе года:

52 №№ иллюстрир. литер. ЖУРНАЛА **52** №№ полит. и обществ. ГАЗЕТЫ **52** № иллюстр. „Всемірное Обозрѣніе“ **52** № иллюстрир. „РАЗВЛЕЧЕН. въ часы отд.“.

36 КНИГЪ а именно: 1) 12 книгъ РОМАНОВЪ и повѣстей, 2) 5 книгъ иллюстрир. издан. „ПОКОРЕННЫЙ КАВКАЗЪ“, 3) 5 книгъ иллюстр. изд. „ПОДЪ щитомъ СЕВАСТОПОЛЯ“, 4) 12 книгъ иллюстрир. сочин. „НОВѢЙШАЯ ИСТОРІЯ“, и, кромѣ того,

2 иллюстрированныхъ изданія: „РЫЦАРИ КРУГЛАГО СТОЛА“ четыре поэмы ТЕННИСОНА съ рис. Дорэ, Райда и друг. и 2) изданіе, перед. содерж. 27 произв. Шекспира, съ 36 рис. п. назв. „ГЕРОИ **ШЕКСПИРА**“

100 БЕЗПЛАТН. ПРИЛОЖЕНІЙ 12 № „Другъ дѣтей“, 12 № „Сельское Хозяйство“, 12 № „Домашній театръ“, 12 № МОДНАГО журнала, 12 № лист. выкроекъ, 12 № лист. рисунковъ для любительск. раб., 12 № лист. узоровъ въ краск., 12 № нотъ.

ОТРЫВНОЙ КАЛЕНДАРЬ на 12 мѣсяц. 1904 г. и **КАЛЕНДАРЬ-справочникъ.**

Прилож. 99-е) большая ОЛЕОГРАФІЯ **ВОЗЗВАНІЕ МИНИНА** КЪ НИЖЕГОРОДЦАМЪ. 100) ГРАВЮРА напеч. въ тон. **„МАСЛЯНИЦА“**

Подробная программа безплатно. — „РОДИНА“, С.-Петербургъ, Лиговская, д. 114.

(3—1)

ჩაი

ამხანაგობა ჩაის ვაჭრობისა

ვ. ვისოცკი და კº

მოსკოვს.

ტფილისის განყოფილება

მეიდანი, რკინეულობის ბაზარი, ტელეფონი № 432.

მის იმპერატორობითის უმაღლესობის დიდის მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის კარის ვაჭარნი

მის [illegible] სასახლის [illegible] კარის ვაჭარნი.

Торговый знакъ утвержденъ Правительствомъ

მირის თანხა	წლიური აღებ-მიცემობა
6,000,000 მანეთი.	20,000,000 მანეთზედ მეტი.

ჩაის მაღალის თვისების წყალობით და მეტადრე ძლიერის სურნელებისა, ნაზის გემოვნებისა და მუქის ფერის გამო, ჩვენმა ფირმამ დაიჭირა პირველი ადგილი ევროპაში წვრილად გაყიდულ ჩაის რაოდენობით.

ჩვენს ქარხნებში, რომელიც მოსკოვსა და ოდესაშია, სადაც იწონება ჩაი და იხვევა პარკებად, მუშაობს 1,500 კაცზედ მეტი.

ჩვენი ჩაი იყიდება რუსეთის იმპერიისა და საზღვარ-გარეთის ყველა საუკეთესო მაღაზიაში.

ჩვენის ფირმის ჩაის ყიდვის დროს ვთხოვთ ბ-ნთ მყიდველთ მიაქციონ ყურადღება სწორედ ჩვენი სავაჭრო მარკა—**ხომალდია**,—მთავრობისაგან დამტკიცებული, ზედ დახატული, თუ არა და მოითხოვონ **ჩაი ვისოცკისა ხომალდით.**

გამგეობა ამხანაგობისა მოსკოვშია.

განყოფილებანი:

ოდესას, ვარშავას, როსტოვს-დონ., ეკატერინბურგს, ხარკოვს, ტფილისს, რიგას, ვილნოს და სიმფეროპოლში. აგრეთვე ნიჟეგოროდისა და ირბიტის ბაზრობაზედ.

ადრესი ამხანაგობისა მოსკოვსა და განყოფილებათათვის: „**Товарищество чайной торговли В. Высоцкій и К-º**“.

დეპეშებისათვის: „**Корабликъ**“.

ჩაი მთავრობის ბანდეროლით

(20—3)

საწყობი ქაღალდის

დიტიატკოვის ამხანაგობა

მოსკოვი 1882 წ. ნოვგოროდი 1896 წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში.

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, აღბომის ქაღალდი აგრეთვე ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.

ტელეფონი № 66. (30—6.—30)

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

დაარსებულია 1847 წელს

მირითადი თანხა	**1.650.000 მან.**
სათადარიგო თანხა	**2.664.808 მან.**

დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით და არხით.

გ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

ბ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან-სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისკის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6—2)

Дозволено цензурою Тифлисъ 10 ноября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи დროებით რედაქტორი ბ. [illegible], გამომცემელი ა. ხახანაშვილი.